პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 183 (9850) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე სეულიდან გვატყობინებს:

## ვლადიმერ გოგოლაძეს ოლიმპიური ოქროს მედალი

დასამალი რაა, საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდური გამარჯვება ოლიმპიადაზე თავიდანვე დაგეგმილი იყო. არც ერთ კოლექტივში არაა ისეთი თანაბარი ძალისა და კლასის სპორტსმენები, როგორც ჩვენს ნაკრებში. სეულის სარბიელზე გუნდი თავიდანვე დაწინაურდა და პირველი დღის შემდეგ უახლოეს მეტოქეს — გდრ-ის სპორტსმენთა კოლექტივს 2 ქულაზე მეტს უგებდა.

2 ქულა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვების რეალურ გარანტიას იძლევა, მაგრამ ოლიმპიადაზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მეორე დღის პროგრამა ტანმოვარჯიშეებმა ფრთხილად და დიდი ყურადღებით შეასრულეს. თუმცა რთულ ილეთებზე უარი არავის უთქვამს. უფრო მეტიც, ზოგმა სწორედ დასკვნით ვარჯიშებში გამოიყენა „საიდუმლო იარაღი", რომლებიც მეტი ეფექტის მოხდენის მიზნით, ბოლოსთვის ჰქონდათ შემონახული.



ვლადიმერ გოგოლაძე. ა. კოტორაშვილის ფოტო.

ასე მაგალითად, თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ თავისუფალ ვარჯიშში სამმაგი მალაყი შეასრულა და ხალხით სავსე დარბაზის გაკვირვება და აღტაცება გამოიწვია. სხვათა შორის, გოგოლაძე მეორე სპორტსმენია მსოფლიოში, რომელმაც ამ ურთულესი ილეთის გამოყენება სცადა ოფიციალურ შეჯიბრებაში.



ნინო სალუქვაძე. ა. კოტორაშვილის ფოტო.

ასპარეზობის მეორე დღემ საბჭოთა გუნდს დამსახურებული გამარჯვება და ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ერთბაშად ექვსი საბჭოთა ტანმოვარჯიშე დადგა, მათ შორის ჩვენი თანამემამულე, თბილისელი ვლადიმერ გოგოლაძე. საბჭოთა გუნდმა (დ. ბილოზერჩევი, ვ. ლიუკინი, ვ. არტიომოვი, ვ. ნოვიკოვი, ვ. გოგოლაძე და ს. ხარკოვი) 593,35 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ გდრ-ის კოლექტივს (588,45) თითქმის 5 ქულით გაუსწრო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ იაპონიის (585,6 ქულა), ჩინეთის (585,25 ქულა), ბულგარეთის (585,1 ქულა) და უნგრეთის (585,030 ქულა) წარმომადგენლები.

მაშ ასე, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთ წარმომადგენელს ხვდა წილად. ვლადიმერ გოგოლაძის გზა დიდ სპორტში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებით დაიწყო. 1984 წელს ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში ერთი ვერცხლის (მრავალჭიდში) და

იხ. მე-2 გვ.

## მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის



## პირველი პარტია

**მ. ჩიბურდანიძე — ნ. იოსელიანი**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 მf6 5. მc3 e6 6. მf3 კe7 7. cd მ:d5 8. კd3 მc6 9. 0—0 0—0 10. ეe1 კf6 11. კe4 მce7 12. ლb3 ლb6 13. ლ:b6 ab 14. კg5 ეd8 15. ეfd1 h6 16. კ:f6 მ:f6 17. კc2 კd7 18. მe5 კe8 19. კb3 მd6 20. მ:c6 კ:c6 21. f3 b5 22. a3 ეd7 23. მe2 კd5 24. კ:d5 მ:d5 25. ეac1 b4 26. ეd3 ba 27. ე:a3 ე:a3 28. ეc8+ მფh7 29. ba g6 30. მc3 მe3 31. მფf2 მf5 32. მb5 მფg7 33. ეc4 h5. ყაიმი.

ნანა იოსელიანის სათამაშო პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება კარო-კანის დაცვა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პრეტენდენტმა პირველივე სვლით უკვე სიურპრიზი შესთავაზა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს. მე-10 სვლისთვის წარმოიშვა ლაზიერის გამბიტის მსგავსი პოზიცია, ხოლო ორი სვლის შემდეგ იოსელიანმა უკვე ლაზიერების გაცვლა შესთავაზა მეტოქეს. მართალია, ამის შედეგად ლაზიერის ფრთაზე შავების პაიკები გაორდა, მაგრამ სამაგიეროდ ეტლისთვის მათ ღია ხაზი მიიღეს, თანაც თეთრებს d4 უჯრაზე იზოლირებული პაიკი დარჩათ.

პარტია მანევრულ, პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა. თანდათან გაიცვალა ფიგურები, იოსელიანმა ის გაორებული პაიკიც გაცვალა და ენდშპილში ოდნავ უკეთესი პოზიცია მიიღო. მაგრამ ჩიბურდანიძე ზუსტად თამაშობდა და როცა პოზიცია საბოლოოდ გათანაბრდა, 33-ე სვლაზე პრეტენდენტის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

რა შეიძლება ითქვას კიდევ მატჩის პირველი პარტიის შესახებ? მოგეხსენებათ, მაღალი რანგის ტურნირებისა და მატჩების სტარტს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ორივე მხარე საკმაოდ ფრთხილად თამაშობდა, ერიდებოდა პოზიციის ზედმეტ გამწვავებას, ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, მთავარი ბრძოლები წინაა და თანდათან მეტოქენი უფრო მეტ გაბედულებას გამოიჩენენ, უფრო მწვავე თამაშს გააჩაღებენ და არც თავიანთ გულშემატკივრებს დატოვებენ გულგრილს, ასე მრავლად რომ იყრიან თავს თელავის დრამატული თეატრის შენობაში, სადაც ეს მატჩი მიმდინარეობს.

მეორე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

**დავით ჭელიძე,**
**ტელეფონით. „ლელოს" სპეც. კორ.**




**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზემოთ — 19 სექტემბერი, საღამოს შვიდი საათი. თელაველი გოგო-ბიჭები სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობისკენ მიუძღვებიან მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილეებს — მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესა და ამ ტიტულის პრეტენდენტ ნანა იოსელიანს; ცოტა ხანში აქ საზეიმოდ გაიხსნება დიდი შეჯიბრება, ხვალ კი პირველი პარტიაც გათამაშდება. ქვემოთ — მატჩის მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ი. შაიტარმა საათი ჩართო და ბრძოლაც დაიწყო. ჯერ, ცხადია, არ ვიცით, ვინ გაიმარჯვებს — მაია თუ ნანა, მაგრამ ერთი რამ უკვე ცნობილია: რომელმა მათგანმაც უნდა მოიგოს ეს მატჩი, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი მაინც საქართველოში დარჩება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

## ხალიჩებზე — დინამოელები

**ლვოვში** დამთავრებულ „დინამოს" თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო პირველობაზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 12 კოლექტივი იბრძოდა, საქართველოს ნაკრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიმკვიდრა. პირად პირველობაში კი უძლიერესის სახელები არავის დაუთმეს სოხუმელმა ეგია მუსოიანმა (57 კგ) და პაატა ხურციძემ (74). ვერცხლის მედალი მოიპოვა მათმა თანაგუნდელმა პ. ლისენკომ (48), ხოლო ს. აბაშიძე ბრინჯაოს დასჯერდა (გუნდი მოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თ. გოგოლაძემ).

გუნდური პირველობა რსფსრ-ის მოჭიდავეებს დარჩათ, მესამეზე უზბეკეთის ნაკრებია.

**ამავე** საზოგადოების სამბისტებმა კი ორჯონიკიძის ხალიჩაზე მოიყარეს თავი და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხელიდან არ გაუშვეს მეორე საპრიზო ადგილი. პირველ ადგილზე აქაც რსფსრ-ს მოჭიდავეები გავიდნენ, მესამეზე კი სომხეთის გუნდია.

საქართველოს გუნდის წევრებმა ა. ბეძენაშვილმა (65 კგ), რ. აკოფიანმა (70) და გ. გაჩეჩილაძემ (81) ჩემპიონის წოდებები მოიპოვეს. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ დ. მარიდაშვილი (48) და ი. პარტიროსიანი, მესამე ადგილები წილად ხვდათ მ. თურქიას (60), ნ. ბობოხიძეს (65), ვ. ლომიძესა (87) და დ. კევლიშვილს (97), გუნდის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. ხაჩიძე.

## ყველა საპრიზო ადგილი

**ვოლგოგრადი.** დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. საქართველოს წარგზავნილებმა ტურნირში თითო პირველი, მეორე და მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

ჩემპიონის სახელი მარტყოფელმა მამუკა გიგაურმა მოიპოვა, მან ყველას აჯობა 68 კგ წონით კატეგორიაში. 90 კგ-ში თბილისელმა ბეგი დარჩიამ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო მძიმეწონოსანთა ტურნირში გურამ შონია (თბილისი) მესამე იყო.

74 კგ წონაში თბილისელ ქართლოს კოზაევს მეხუთე ადგილი ხვდა. მან სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

## ჩემპიონობაც, რეკორდიც

**სოხუმის** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სერჟანტი ვალენტინ ხალეცკი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია ტყვიის სროლაში. ახლახან იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდა, რომლის პროგრამაში საბრძოლო იარაღით სროლა იყო. გამოცდილ სპორტსმენს არც აქ უმტყუნა თვალმა, გაიმარჯვა და ამასთან საკავშირო რეკორდიც დაამყარა პისტოლეტით ე. წ. „აბსოლუტურ შეჯიბრებაში" — 278 ქულა. აღსანიშნავია, რომ ვალენტინ ხალეცკის (მწვრთნელები, მილიციის მაიორები ვალიკო მარგიშვილი და ანდრეი იჩმელიანი) მიერ გაუმჯობესებული რეკორდი 12 წელს იყო უცვლელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებს — სანიმუშო წესრიგი

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელების პერიოდში სანიმუშო წესრიგის უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სპორტულ დაწესებულებათა ამოცანების შესახებ".

მიუხედავად იმისა, ნათქვამია დადგენილებაში, რომ ბოლო დროს იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებსაც ახორციელებენ რესპუბლიკის სპორტსახკომი და შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ადგილებზე მიღწეულია გარკვეული დადებითი შედეგები სტადიონებზე დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოსასწორებელია. შემოწმებამ გამოავლინა უხეში დარღვევების, შეჯიბრების მოწყობისადმი უპასუხისმგებლო და დაუდევარი დამოკიდებულების მრავალი ფაქტი.

უაღრესად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სპორტსახკომმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ დღემდე ვერ შეძლეს შეექმნათ ფეხბურთის შეჯიბრებათა მოწყობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ქმედითი სისტემა, ვერ აამოქმედეს ადგილებზე სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მექანიზმი.

საქართველოს სსრ სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო პრაქტიკულად ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას, ვერ ასრულებს რესპუბლიკაში ფეხბურთის შეჯიბრებების მთელი კომპლექსის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

კვლავ შეინიშნება გუნდების დაკომპლექტების მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის რეზერვის მომზადებას. საქართველოს ჩემპიონატებში ძირითადად გამოდიან ასაკოვანი, უპერსპექტივო სპორტსმენები.

კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური მსაჯობა. ფეხბურთის სამმართველო და რესპუბლიკური მსაჯთა კოლეგია თავს ვერ ართმევენ თავიანთ მოვალეობებს. უკონტროლობას მოყვა ის, რომ ხშირად რესპუბლიკის პირველობაზე გამართულ თამაშებში არ მონაწილეობენ ოფიციალურად დანიშნული მსაჯები.

თვითდინებაზეა მიშვებული კვალიფიციურ მწვრთნელთა კადრებით გუნდების უზრუნველყოფის საკითხიც. მსაჯთა შემადგენლობა, ფიზკულტურის კომიტეტები, შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოების მუშაკები, საშეფო ორგანიზაციები ხშირად გვევლინებიან სპორტული ეთიკის, დისციპლინისა და მართლწესრიგის ბოროტ დამრღვევთა დამცველების როლში. მაგალითად, გეგეჭკორის სტადიონზე ფიზკულტურის მუშაკებმა პროვოკაციულად გამოიწვიეს ინციდენტი, რის შედეგად მატჩის მსაჯს ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სამტრედიის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ხელმძღვანელების არაერთგზისი კრიტიკის მიუხედავად, ისინი პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ დღემდე მათთვის მიცემულ რეკომენდაციებს. ამის შედეგია, რომ კვლავ აღინიშნება აქაური ფეხბურთელების უღირსი საქციელის ფაქტები.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ეს დარღვევები ხდება ადგილობრივი სამართალდაცვითი და სხვა ორგანოების მუშაკების თვალწინ, რომლებიც ხშირად არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს წესრიგის აღსადგენად. უფრო მეტიც, რესპუბლიკის სტადიონებზე მომხდარი დარღვევების მეტი წილი ფაქტები დღემდე არ არის გამოძიებული და სათანადოდ შეფასებული.

უაღრესად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ადგილობრივი ფეხბურთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ზოგიერთ სტადიონზე არ არის ოფიციალური მატჩების მოწყობის ელემენტარული პირობები.

რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების გარდა ვერ გავრცელდა სტუმრების გუნდებისადმი შეფობის ორგანიზაციის პრაქტიკა, მათ შორის ადგილობრივი ისტორიული და კულტურული ძეგლების გაცნობა, შეხვედრები წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავეებთან, სხვა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ სპორტსმენებისა და მაყურებლების ურთიერთპატივისცემას. ფეხბურთის გულშემატკივართა შექმნილი კლუბები ძირითადად ფორმალურად არსებობენ, ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენენ სტადიონებზე, ფეხბურთელთა გუნდებში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაზე.

აქედან გამომდინარე, მუშაობა, რომელსაც ეწევიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა სპორტული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესრულებისათვის, არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული.

ცნობად არის მიღებული, რომ ფეხბურთში რესპუბლიკის პირველობაზე მატჩის მოწყობის ადგილებში აღნიშნული დარღვევების ფაქტები განიხილეს საქართველოს სსრ სპორტსახკომმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ, პარტიის გეგეჭკორის, ხაშურის, ცხაკაიას, ოჩამჩირის, ორჯონიკიძის, სამტრედიის რაიკომებმა, ბათუმისა და ზუგდიდის საქალაქო კომიტეტებმა, თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და პარტიული წესით დასაჯეს პირები, ვისაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი გამოვლენილ დარღვევებში.

ამასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განხორციელებული ღონისძიებანი არასაკმარისად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ყველა ხელმძღვანელი კომუნისტის მოქმედება და ნეგატიური ფაქტი როდი შეფასდა შესაბამისი პრინციპულობით. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივანთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მასობრივი სახეობის სპორტულ შეჯიბრებათა მოწყობისას სანიმუშო წესრიგის უზრუნველსაყოფად, რესპუბლიკის პირველობაზე გამართული ფეხბურთის მატჩების ორგანიზაციაში ნეგატიური მოვლენების, მეცენატობის, კუთხურობის, სპორტული ორგანიზაციების საქმიანობაში არაჯანსაღი აჟიოტაჟის აღმოსაფხვრელად, აგრეთვე საერთოდ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გასავითარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, საქართველოს სსრ სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ენდელაძეს დაევალა სასწრაფო ღონისძიებები განახორციელოს რესპუბლიკის პირველობაზე ფეხბურთის მატჩების მოწყობის სისტემის სრულყოფის, ფეხბურთის სამმართველო აპარატის მუშაობის გარდაქმნის, მსაჯობის ხარისხის კარდინალური გაუმჯობესების, პირველობის მონაწილე გუნდების მხოლოდ ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტების უზრუნველყოფისათვის.

(საქინფორმი).

ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი • საჭადრაკო მემორიალი

# ბოლო ტური გადაწყვეტს

**ხულ** ერთი ტურიღა რჩება ვიქტორ გოგლიძის ტურნირის დამთავრებამდე. მაგრამ მიუხედავად ამისა ჯერჯერობით ცნობილი არ არის თუ ვინ მოიპოვებს საპრიზო ადგილებს. ბოლოსწინა X ტური მსოფლიო ექსჩემპიონ მიხეილ ტალისთვის ბოლო ტური იყო და ამიტომაც იგი თავიდანვე შეეცადა გამარჯვებით დაემთავრებინა შეჯიბრება. მისი მეტოქე ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი იგორ ნოვიკოვი იყო. მეტოქეებმა უფიმცევის დაცვა გაითამაშეს. ნოვიკოვმა დებიუტში ნაჩქარევად განახორციელა ცენტრში გარღვევა და უარესი პოზიცია მიიღო. მიუხედავად ამისა იგი დიდი გულმოდგინებით თამაშობდა და თანდათან გამოასწორა მდგომარეობა. მართალია ტალს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მეტოქის მტკიცე პოზიციის გარღვევა და მოწინააღმდეგენი 32-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ძალზე საინტერესო გამოდგა ინგლისელი საერთაშორისო ოსტატის სტიუარტ კონკუესტისა და თბილისელი საერთაშორისო ოსტატის ელიზბარ უბილავას შეხვედრა. გათამაშდა ლაზიერის გამბიტის თანამედროვე აქტუალური ვარიანტი, რომელიც სხვათა შორის რამდენიმეჯერ შეგვხვდა ამასწინანდელ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. უბილავამ მეათე სვლაზე ახალი გაგრძელება გამოიყენა. ინგლისელმა მოჭადრაკემ ალღო ვერ აუღო თეორიულ სიახლეს და თანდათან უარეს პოზიციაში მოექცა, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიტიკულ მომენტში უბილავამ უზუსტოდ ითამაშა, გაცვალა ფიგურები და უკვე თანაბარ პოზიციაში მეტოქეები დაზავდნენ.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ლუკოვი-რომანიშინი — 1:0, კოჟული-გუფელდი — 1:0, შნაპიკი-ზაიჩიკი — 0:1.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ყაიმით დამთავრდა პრანდშეტერ-ზაიჩიკისა (VI ტური) და პრანდშეტერ-უბილავას (VIII ტური) პარტიები.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი) — 6 (9 შეხვედრიდან), ოლეგ რომანიშინი, ელიზბარ უბილავა — 5,5-5,5 (9-9-დან), ალექსანდრე შნაპიკი (პოლონეთი), გენადი ზაიჩიკი — 5-5 (9-9-დან), მიხეილ ტალი — 5 (10-დან).

როგორც ხედავთ, ყველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს. პირველი ადგილის მოპოვების ყველაზე კარგი შესაძლებლობა აქვს ვალენტინ ლუკოვს. რაც შეეხება ელიზბარ უბილავას მას ბოლო ტურში მხოლოდ მოგება აძლევს ხელს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმის (6,5 ქულა) შესასრულებლად. ამ ტურში მისი მეტოქე იქნება იუგოსლაველი საერთაშორისო ოსტატი ზდენკო კოჟული, რომელსაც, მართალია, ყველაზე ცოტა 2,5 ქულა აქვს, მაგრამ მან ეს ქულები ოთხ დიდოსტატთან შეხვედრაში მოაგროვა (დაამარცხა მ. ტალი და ე. გუფელდი, ყაიმით დაამთავრა ო. რომანიშინთან და დამარცხდა ი. ზაიჩიკთან). იმედია ქართველი საერთაშორისო ოსტატი ყოველ ღონეს იხმარს თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ვასილ ვაშაკიძე.

# ზედიზედ შვიდი გამარჯვება

**სოჭში** დასასრულს მიუახლოვდა ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი „როსია". ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ ქალთა XXIII საერთაშორისო ტურნირში ბოლო, XIII ტურის წინ თბილისელ საერთაშორისო ოსტატ თამარ ხუგაშვილს 7 ქულა აქვს. შეჯიბრებას კი 9,5 ქულით სათავეში უდგას საერთაშორისო დიდოსტატი ირინა ლევიტინა (ლენინგრადი), რომელმაც ზედიზედ 7(!) პარტია მოიგო. ლიდერს ქულით ჩამორჩება კრასნოდარელი ტატიანა სტეპოვაია.



# XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## ვლადიმერ გოგოლაძეს ოლიმპიური ოქროს მედალი

(დასასრული)

ორი ოქროს (ღერძზე და თავისუფალ ვარჯიშში) მედალი მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს ჯილდოს დასჯერდა. საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე კი მრავალჭიდში მეორე შედეგი ჰქონდა.

შარშან მსოფლიო უნივერსიადის დაწყებამდე ვლადიმერ გოგოლაძეს სერიოზულად დაუშავდა ხელი და სპორტს დიდი ხნით ჩამოშორდა. მაგრამ ტანმოვარჯიშემ და მისმა მწვრთნელმა არნოლდ კვეტენაძემ ყველაფერი იღონეს, რომ ეს ხარვეზი დროულად და წარმატებით შეევსოთ და მიზანს მიაღწიეს კიდეც, ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში ქართველმა სპორტსმენმა მრავალჭიდში მეოთხე ადგილი დაიკავა და ადგილი დაიბევა ოლიმპიურ ნაკრებში. 22 წლის ვლადიმერ გოგოლაძემ თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდ წარმატებას სეულის სარბიელზე მიაღწია.

## ნინო სალუქვაძის მეორე მედალი

საკუთარ მშობელზე უფრო დიდი გულშემატკივარი ვინ უნდა ჰყავდეს სპორტსმენს, მით უფრო თუ მშობელი, მწვრთნელიცაა და ამის გამო შვილის საქმეებში ღრმად ჩახედული. ოლიმპიურ სასროლეთზე სხვა გულშემატკივრებს შორის ორს საგანგებოდ გამოარჩევთ. ერთი მათგანია ვახტანგ სალუქვაძე — ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის პირადი მწვრთნელი და მამა, მეორე — ბულგარელი ნიკოლოზ ლეჩევი, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მსროლელი ქალის ვესელა ლეჩევას მშობელი.

ოლიმპიადის შედეგებით ვახტანგი თავის ბულგარელ კოლეგაზე უფრო კმაყოფილია. ნინო ჯერჯერობით XXIV თამაშების ერთადერთი მონაწილეა, რომელიც ორ მედალს დაეუფლა. სპორტული პისტოლეტით სროლაში მოპოვებულ „ოქროს", მან ვერცხლის ჯილდოც დაუმატა (პნევმატური პისტოლეტით).

საკვალიფიკაციო სროლის შემდეგ ნინო სალუქვაძე პირველ ადგილზე იყო, თანაც ახალი მსოფლიო რეკორდით — 390 ქულა. გამოცდილი იუგოსლაველი იასნა სეკარიჩი, რომელსაც სპეციალისტები ამ სახეობაში მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ, ლიდერს ქულით ჩამორჩა. ყველაფერი ფინალურ სერიას უნდა გადაეწყვიტა.

...ცეცხლის ხაზზე ორივე ყურადღებად იყო ქცეული, თითქოს ამ ქვეყნად არაფერი არსებობდა პირდაპირ დადგმული სამიზნის გარდა. ორივე მშვიდად და ზუსტად ისროდა. სეკარიჩს მხოლოდ ერთი ჩავარდნა ჰქონდა ბოლო სროლაში, რისთვისაც 8,6 ქულა მიიღო. ნინოს ასეთი შეცდომა არ დაუშვია, მაგრამ შვიდ გასროლაში ქულის რამდენიმე მეათედი დაკარგა და საბოლოოდ მეორე ადგილზე დარჩა. იუგოსლაველის შედეგი 489,5 ქულა იყო, ნინოსი — 487,5 ქულა. საბჭოთა გუნდის მეორე წევრს მარინა დობრანჩევას მესამე შედეგი აღმოაჩნდა — 485,2.

...მერე ნიკოლოზ ლეჩევმაც ამოისუნთქა შვებით, თუმცა ვესელამ მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში მხოლოდ ვერცხლის მედალი მიიღო.

## ოცდამეოთხედან... პირველ ადგილზე

როგორც ვიუწყებოდით, თანამედროვე ხუთჭიდელთა ტურნირში პირველი დღის შემდეგ (ცხენოსნობა) სსრ კავშირის ნაკრები მე-14 ადგილზე იყო, პირად ჩათვლაში კი ჩვენს სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგი ვ. იაგორაშვილს ჰქონდა — 24-ე ადგილი.

მეორე სახეობაში (ფარიკაობა) იაგორაშვილი კარგად გამოვიდა და თექვსმეტი საფეხურით წინ გადავიდა. თბილისელმა ხუთჭიდელმა განსაკუთრებით დამაჯერებლად იასპარეზა მესამე დღეს ცურვაში და მეორე შედეგი აჩვენა — 3.11,230 (1344 ქულა). 300-მეტრიანი დისტანცია მასზე უკეთ მხოლოდ ფრანგმა კრისტოფ რუზმა გასცურა — 3.10,58.

მეოთხე სახეობის — სროლის შემდეგ 4.217 ქულა აქვს ვ. იაგორაშვილს და მან პირველ ადგილზე გადაინაცვლა, მეორეზეა უნგრელი ხუთჭიდელი იანოშ მარტინეკი — 4.188, რომელიც ლიდერობდა სამი დღის შემდეგ. მესამეა იტალიელი მსოფლიო ჩემპიონი კარლო მასულო — 4.139.

## მხოლოდ ფაქტები

◉ **ტრადიციის** თანახმად ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთ საბჭოთა დელეგაცია საზეიმო შეხვედრას უწყობს. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტისა და საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა საქართველოს ოლიმპიელებს ნინო სალუქვაძესა და ვლადიმერ გოგოლაძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის სამკერდე ნიშნები გადასცა და წარმატება მიულოცა.

◉ **მძლეოსნები** ოლიმპიურ ტურნირს 23 სექტემბერს იწყებენ, მაგრამ ჩვენი თანამემამულე მზია აზარაშვილი 200 მეტრზე რბენის დისტანციაზე მხოლოდ 28 სექტემბერს გამოვა.

◉ **ერთი დღით** ადრე კი სინქრონული ცურვის ოსტატთა ტურნირში სტარტს აიღებს საქართველოს წარმომადგენელი ქრისტინა ფალასანიდი. იგი, როგორც ცნობილია, სოლისტთა შეჯიბრებაში იასპარეზებს.

## უკანასკნელ საათს! ლეილა მესხი გამარჯვებით იწყებს

**სეული.** დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა ოლიმპიური ტურნირი. პირველი შეხვედრა საბჭოთა გუნდის წევრს ლეილა მესხს ჩეხოსლოვაკიელ რეგინა რაიხრტოვასთან ჰქონდა და დაამარცხა იგი — 7:5, 7:5. ჩვენმა ვაჟთა კოლექტივმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა — ალექსანდრე ვოლკოვს დასავლეთგერმანელმა კარლ-უვე შტეებმა აჯობა 7:5, 6:4, 6:8.

იხ. მე-4 გვ.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

17 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 23-ე ტურის მატჩები.

**„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (თბილისი) 0:1 (0:0). მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).** გუნდების შემადგენლობანი:

**„ჟალგირისი":** კონცევიჩიუსი, პანკრატიევი, სუკრისტოვი, მაჟეიკისი, ზდანჩიუსი (ბუზმაკოვი, 69), ტაუტკუსი, ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, იაკუბაუსკასი, რასიუკასი (ბალტუშნიკასი, 46), ფრიდრიკასი.

**„დინამო":** გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი (თედეევი, 88), სვანაძე, ცვეიბა, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

გოლი 84-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა გოგიჩაიშვილმა.

გააფრთხილეს ივანაუსკასი, პანკრატიევი.

დუბლიორები — 1:1, თბილისელთაგან გოლი გაიტანა მ. ჯიშკარიანმა.

**„დინამო" (კიევი) — „შახტიორი" 0:0.**

გააფრთხილეს დონეცკელი ფეხბურთელები გოშკოდერია, ევსეევი, ლეონოვი, აგრეთვე, კიეველი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 2:2.

**„კაირატი" — „სპარტაკი" 1:3 (1:1).** პირველი ბურთი სპარტაკელმა სუსლოპაროვმა გაიტანა საკუთარ კარში, შემდეგ კი როდიონოვმა, შალიმოვმა და ჩერენკოვმა 3-ჯერ აიღეს „კაირატის" კარი.

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელი სალიმოვი.

დუბლიორები — 1:3.

**„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 2:0 (0:0).** „ჩერნომორეცის" კარში ორივე ბურთი რუდაკოვმა გაიტანა.

გააფრთხილეს ოდესელები იშჩენკო და ნიკიფოროვი, აგრეთვე, ტორპედოელი გიცელოვი.

დუბლიორები — 3:1.

**„დინამო" (მინსკი) — „არარატი" 0:0.**

გააფრთხილეს მინსკელი ალეინიკოვი და ერევნელი ვ. ხაჩატრიანი.

დუბლიორები — 1:0.

**„ნეფთჩი" — „ზენიტი" 1:2 (0:0).**

გააფრთხილეს ზენიტელი ლარიონოვი.

დუბლიორები — 0:1.

⊙ **ჩემპიონატის** ბომბარდირთა შორის კვლავ წინაა დნეპროპეტროვსკელი ე. შახოვი — 13 გოლი. 11-11 ბურთი გაიტანეს მოსკოვის დინამოელმა ა. ბოროდიუკმა, კიეველმა ო. პროტასოვმა და ლოკომოტიველმა მ. რუსიაევმა.

⊙ **I ლიგის** გუნდების მატჩებში გაფრთხილებები დაიმსახურეს ლანჩხუთელმა გ. ტყებუჩავამ და ბათუმელმა ა. გოგიტიძემ. აღსანიშნავია, რომ ა. გოგიტიძემ წლეულს მეოთხე გაფრთხილება მიიღო.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 21 | 14 | 4 | 3 | 34-13 | 32 |
| „სპარტაკი" | 23 | 13 | 6 | 4 | 46-27 | 32 |
| „დინამო" კ. | 21 | 12 | 5 | 4 | 31-20 | 29 |
| „ტორპედო" | 22 | 12 | 3 | 7 | 33-27 | 27 |
| „ჟალგირისი" | 23 | 9 | 9 | 5 | 34-16 | 27 |
| „დნეპრი" | 23 | 10 | 5 | 8 | 32-30 | 25 |
| „დინ." თბ. | 23 | 8 | 9 | 6 | 29-28 | 25 |
| „ზენიტი" | 23 | 9 | 4 | 10 | 25-32 | 22 |
| „ჩერნომ." | 23 | 8 | 6 | 9 | 24-27 | 22 |
| „ლოკომ." | 20 | 8 | 5 | 7 | 26-21 | 21 |
| „მეტალ." | 23 | 7 | 6 | 10 | 29-27 | 20 |
| „არარატი" | 19 | 6 | 4 | 9 | 27-33 | 16 |
| „დინ." მნ. | 22 | 4 | 5 | 13 | 21-38 | 13 |
| „შახტიორი" | 22 | 4 | 5 | 13 | 25-43 | 13 |
| „კაირატი" | 23 | 4 | 5 | 14 | 20-42 | 13 |
| „ნეფთჩი" | 19 | 3 | 7 | 9 | 11-23 | 13 |

## I ლიგა

20 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 34-ე ტურის მატჩები.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი **გ. მურვანიძე** გვატყობინებს ადგილობრივი „დინამოს" მატჩზე გათამაშების ლიდერთან დუშანბეს „პამირთან".

**მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის დინამოელები გათამაშების გარკვეულ ეტაპზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ქულათა საკმარისი რაოდენობაც აიღეს, ისინი ჯერ კიდევ იქ იმყოფებიან, სადაც აუტსაიდერთა მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს ლიგაში დასარჩენად. მაგრამ მათ შესანიშნავად ჩაატარეს ეს ძნელი მატჩი, ქებას იმსახურებს მთელი კოლექტივი, გუნდის თითოეულმა მოთამაშემ მაქსიმალური შესაძლებლობებით იბრძოლა და შეძლო ის, რომ ლიდერი დიდი ანგარიშით დაამარცხა — 4:1. ეს იყო დინამოელთა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში.**

**მასპინძლებმა თავიდანვე მიაღწიეს უპირატესობას და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 2:0. პირველი ბურთი 24-ე წუთზე გაიტანა ჟვანიამ, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ — ბიგვავამ. შესვენების შემდეგ „პამირის" მცველებმა თავიანთი კარის სიახლოვეს უხეშად ითამაშეს ბიგვავას წინააღმდეგ და კიშინიოველი მსაჯის ა. გორინის მიერ დანიშნული 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა დურდიაძემ — 3:0. ამის შემდეგ ვოლოვოდენკომ კარგად ისარგებლა თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრშეტევით და საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ შემდგომში „დინამომ" კვლავ იმძლავრა და ჟვანიამ კიდევ ერთი ბურთი მოათავსა „პამირის" კარში — 4:1.**

**ლიდერთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ცხადყო ბათუმის დინამოელთა კარგი პოტენციური შესაძლებლობანი, მათ ძალა შესწევთ შეასრულონ მთავარი ამოცანა და შეინარჩუნონ ადგილი ლიგაში.**

კიდევ ერთ, მეტად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ლანჩხუთის „გურიამ", რომელმაც შინ მიიღო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი, ტაშკენტის „ფახთაქორი".

„გურია" ახლა ახალი, უფრო საპატიო ამოცანების წინაშე დგას — მას სრული შესაძლებლობა აქვს იბრძოლოს უმაღლეს ლიგაში დაბრუნების საგზურისთვის. ამიტომაც გუნდმა მთელი თავისი შესაძლებლობანი ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა წარმართოს. მატჩი „ფახთაქორთან" შეუპოვარი და დაძაბული იყო, ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით, აქტიურად იბრძოლეს და ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ძლიერი მეტოქე. ერთადერთი გოლი, რომელმაც მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, ხლუსმა გაიტანა 32-ე წუთზე.

მომდევნო, 35-ე ტურის მატჩებს საქართველოს გუნდები 26 სექტემბერს გამართავენ სტუმრად. „გურია" აბოვიანში შეხვდება „კოტაიკს", ხოლო ბათუმის „დინამო" — კრასნოდარში „კუბანს".

**განვლილი** ტურის სხვა შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: ცსკა — „გეოლოგი" (ტიუმენი) 2:1, [illegible] (ლენინგრადი?) [illegible] „დინამო" (სტავროპოლი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) [illegible], „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — ასკ (დონის როსტოვი) 2:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 0:3, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „დაუგავა" (რიგა) 2:1, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „კუბანი" (კრასნოდარი) 2:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 6:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი" | 33 | 20 | 8 | 5 | 60-31 | 48 |
| „ფახთაქ." | 33 | 16 | 8 | 9 | 46-29 | 40 |
| „როტორი" | 32 | 17 | 5 | 10 | 52-29 | 39 |
| „გურია" | 31 | 17 | 5 | 9 | 46-29 | 39 |
| ცსკა | 32 | 15 | 9 | 8 | 44-27 | 39 |
| „დინ." სტ. | 33 | 15 | 9 | 9 | 47-32 | 39 |
| ასკ „კარპ." | 32 | 14 | 7 | 11 | 44-24 | 35 |
| „დაუგავა" | 32 | 14 | 6 | 12 | 44-38 | 34 |
| „როსტსელ." | 32 | 13 | 8 | 11 | 48-45 | 34 |
| „ტავრია" | 33 | 12 | 10 | 11 | 31-31 | 34 |
| ასკ რ. | 31 | 12 | 8 | 11 | 41-47 | 32 |
| „გეოლოგი" | 32 | 13 | 5 | 14 | 36-42 | 31 |
| „სპარტაკი" | 33 | 12 | 7 | 14 | 44-47 | 31 |
| „კოტაიკი" | 33 | 12 | 6 | 15 | 42-64 | 30 |
| „კუზბასი" | 33 | 9 | 12 | 12 | 24-32 | 30 |
| „შინიკი" | 33 | 11 | 7 | 15 | 32-40 | 29 |
| „მეტალურ." | 32 | 9 | 9 | 14 | 22-33 | 27 |
| „დინ." ბ. | 31 | 11 | 4 | 16 | 30-37 | 26 |
| „ზარია" | 32 | 9 | 8 | 15 | 39-45 | 26 |
| „კუბანი" | 33 | 9 | 7 | 17 | 29-46 | 25 |
| „კოლოსი" | 32 | 7 | 6 | 19 | 24-45 | 22 |
| „ზვეზდა" | 32 | 5 | 10 | 17 | 26-58 | 20 |

## ამხანაგური მატჩი

**20 სექტემბერს** სოფიაში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ბულგარეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 1:0 (0:0), მასპინძელთა კარში ბურთი კოლივანოვმა გაიტანა.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „ნარტი" (ჩერკესკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „ლორი" (კიროვაკანი) 2:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „ურალანი" (ელისტა) 1:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 2:0, „სპარტაკი" (ანაპა) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 0:0, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 4:0, „ისკრა" (ერევანი) — „დინამო" (სოხუმი) 2:2, „ლუჩი" (აზოვი) — „ოლიმპია" (ლენინაკანი) 2:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0.

გაიმართა ამავე ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა 24-ე ტურის შეხვედრები. „გოიაზანი" (ყაზახი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 1:1, „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) — „სოკოლი" (სარატოვი) 6:3, „ტორპედო" (ქუთაისი) — „დილა" (გორი) 3:1, „დინამო" (მახაჩყალა) — „ტორპედო" (ვოლჟსკი) 0:0, „თერგი" (გროზნო) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) 1:1, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) 0:2, „ხაზარი" (სუმგაითი) — „ბაკინეცი" (ბაქო) 6:0, „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:3.

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის**

**III ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ." | 32 | 17 | 7 | 8 | 49-34 | 41 |
| „სპარ." ოქ. | 31 | 17 | 4 | 10 | 71-37 | 38 |
| „ცემენტი" | 29 | 15 | 7 | 7 | 37-27 | 37 |
| „ლოკომ." | 32 | 16 | 4 | 12 | 44-43 | 36 |
| „სპარ." ნჩ. | 28 | 16 | 3 | 9 | 42-25 | 35 |
| „სპარ." ტმ. | 31 | 16 | 3 | 12 | 42-42 | 35 |
| „დრუჟბა" | 31 | 14 | 6 | 11 | 46-31 | 34 |
| „დინამო" | 32 | 13 | 7 | 12 | 43-39 | 33 |
| „მერცხალი" | 31 | 15 | 2 | 14 | 41-45 | 32 |
| „კოლხეთი" | 31 | 14 | 4 | 13 | 43-48 | 32 |
| „ლორი" | 30 | 14 | 4 | 12 | 39-44 | 32 |
| „მეტალურ." | 30 | 13 | 6 | 11 | 50-30 | 32 |
| „მაშუკი" | 30 | 10 | 9 | 11 | 32-32 | 29 |
| „ლუჩი" | 32 | 11 | 5 | 16 | 31-35 | 27 |
| „ურალანი" | 31 | 11 | 4 | 16 | 46-45 | 26 |
| „ისკრა" | 32 | 11 | 4 | 17 | 36-60 | 26 |
| „ნარტი" | 31 | 9 | 6 | 16 | 36-48 | 24 |
| „ვოლგარი" | 31 | 10 | 3 | 18 | 31-44 | 23 |
| „სპარ." ან. | 31 | 10 | 3 | 18 | 32-45 | 23 |
| „ოლიმპია" | 30 | 8 | 5 | 17 | 30-59 | 21 |

**IX ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ." ქ. | 24 | 20 | 3 | 1 | 58-15 | 43 |
| „ქიაფაზი" | 24 | 17 | 2 | 5 | 67-22 | 36 |
| „მეტალურ." | 24 | 16 | 4 | 4 | 56-25 | 36 |
| „სოკოლი" | 23 | 15 | 4 | 4 | 56-28 | 34 |
| „გოიაზანი" | 24 | 11 | 5 | 8 | 41-29 | 27 |
| „დილა" | 24 | 11 | 3 | 10 | 40-44 | 25 |
| „ტექსტილ." | 23 | 10 | 5 | 8 | 41-29 | 25 |
| „ატომმაში" | 24 | 9 | 6 | 9 | 34-34 | 24 |
| „დინამო" | 24 | 9 | 4 | 11 | 31-33 | 22 |
| „თერგი" | 22 | 8 | 5 | 9 | 31-32 | 21 |
| „ხაზარი" | 24 | 8 | 5 | 11 | 30-40 | 21 |
| „შევარ."-სპი | 24 | 7 | 4 | 13 | 28-51 | 18 |
| „ლოკომოტ." | 24 | 6 | 4 | 14 | 25-46 | 16 |
| „ტორპ." ვ. | 24 | 5 | 3 | 16 | 20-40 | 13 |
| „ლოკ."-ომც | 24 | 5 | 3 | 16 | 25-54 | 13 |
| „ბაკინეცი" | 24 | 2 | 2 | 20 | 15-76 | 6 |

## საქართველოს პირველობა

**განვლილ** შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

**„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ელოევი, სანადირაძე („დურუჯი").

**„არმაზი" (მცხეთა) — „ივერია" (ხაშური) 1:0, მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლი: ყაჩლავაშვილი („არმაზი").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ი. ხარაზაშვილი („ივერია"), ხოლო მსაჯთან კამათისთვის — გ. გულბათაშვილი და ქ. იორამაშვილი (ორივე — „არმაზი").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „დინამო" (გაგრა) 2:2. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლები: ბეს. უგულავა-2 („მადნეული"), კვარაცხელია, რაგანიანი („დინამო").

თამაშის გაჭიანურებისთვის გააფრთხილეს ზ. ხარგელია („დინამო").

**„მალაროელი" (ჭიათურა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 6:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ქველაძე, ჭაუჭიძე, სევასტოპულო-2, ერაძე-2 („მალაროელი"), ქვილითაია, ციმაკურიძე („სამეგრელო").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის ჯერ გააფრთხილეს ჩხოროწყუელი მ. კვირკველია, ხოლო შემდეგ მსაჯის შეურაცხყოფისათვის იგი მინდვრიდან გააძევეს.

**„სქური" (წალენჯიხა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:0. მსაჯი ქ. დავიდიანი (ბათუმი).** გოლები: ჩიკინიოვი, მოისწრაფიშვილი, მატუა („სქური").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:1. მსაჯი ი. კურტანიძე (თბილისი).** გოლები: ორმოცაძე, ხოხობაშვილი („ბახტრიონი"), სოფრომაძე („მეშახტე").

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: სანაკოევი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „მადრევანი" (წყალტუბო) 2:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ფანჩულიძე, ჩინჩალაძე („საპოვნელა").

**„სულორი" (ვანი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 5:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).**

**„კოლხეთი" (ხობი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: ქომეთიანი-2 („კოლხეთი").

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს თ. როგავა, ხოლო გ. ჩიჩუა — სახიფათო თამაშისთვის (ორივე — „დინამო"). ასევე სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს მ. კაციტაძე, ხოლო სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის — ჯ. ლატარია (ორივე — „კოლხეთი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 4:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: ჯუღელი, ნასტაშვილი-2, ანიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), შონია, ჩიქობავა („ეგრისი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. წახნაგია, ხოლო უხეში თამაშისთვის გ. ჯიჯელავა (ორივე — „ეგრისი").

### მსაჯთა რეესტრი

**24-25 სექტემბერი**

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მალაროელი" (ჭიათურა). **მ. კობიაშვილი, ა. შილაკაძე, თ. კურტანიძე** (თბილისი). „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დურუჯი" (ყვარელი). **ს. პრავოვი, რ. ჩიქოვანი, ა. ამიჩბა** (გაგრა). „მეშახტე" (ტყიბული) — „ივერია" (ხაშური). **ვ. გარნოვსკი, გ. კვანტალიანი, ა. ჯულაყიძე** (სამტრედია). „არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი). **შ. ხანიაშვილი, უ. ფურცელაძე, ვ. მიმინოშვილი** (თბილისი). „ქართლი" (გორის რ-ნი) — „საპოვნელა" (თერჯოლა). **ო. გაჩუა, ვ. ტოროსიანი, ს. სამხარაძე** (სოხუმი). „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ბახტრიონი" (ახმეტა). **ა. კოკაია** (თბილისი), **დ. გვაზავა** (აბაშა). **რ. კვირკველია** (ჩხოროწყუ). „მადრევანი" (წყალტუბო) — „სულორი" (ვანი). **თ. ლორთქიფანიძე, გ. ხეჩუაშვილი, თ. სადლიანი** (თბილისი). „ამირანი" (ოჩამჩირე) — „დინამო" (ზუგდიდი). **ვ. ხეჩოიანი, გ. მენთეშაშვილი** (თბილისი), **ა. ყიფიაშვილი** (მცხეთა). „კოლხეთი" (ხობი) — „მადნეული" (ბოლნისი). **ი. გობრონიძე, თ. კოკაია, ვ. წულუკიძე** (ფოთი). „დინამო" (გაგრა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი, ზ. ცინცაძე** (თბილისი). „ეგრისი" (ცხაკაია) — „სქური" (წალენჯიხა). **ვ. ალიევი, ბ. თოფურია, ა. შილაკაძე** (თბილისი).

იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმის „ავტომობილისტი" მოიხსნა გათამაშებიდან, ამ გუნდის ჩატარებული მატჩების შედეგები გაუქმებულია. ასევე გაუქმებულია რუსთავის „მეტალურგი"-2-ის შედეგები. ორჯონიკიძის „ჩხერიმელასა" და ონის „მამისონის" შეხვედრის შედეგი გაუქმებულია, ონის „მამისონს" ჩაეთვალა წაგება, ხოლო „ჩხერიმელას"—გამარჯვება. ონის გუნდში ითამაშა ფეხბურთელმა, რომელიც განაცხადში არ იყო შეყვანილი. ორჯერ გაფრთხილებული ფეხბურთელის მონაწილეობისთვის ქარელის „იბერიას" ბოგდანოვკის „ფარავანასთან" წაგება ჩაეთვალა. წითელწყაროს „შირაქს" კოდის „მარაბდასთან" წაგება ჩაეთვალა, ვინაიდან წითელწყაროელებმა ვერ უზრუნველყვეს სათადარიგო ბრიგადის მსაჯობა და სამედიცინო მომსახურე პერსონალს არ აღმოაჩნდა საჭირო მედიკამენტები. ასევე წაგება ჩაეთვალა ახალდაბის „მეავეჯეს" ზესტაფონის „ცენტრმეტალურგმშენის" გუნდთან შეხვედრაში, ახალდაბელებმა მატჩში განუცხადებელი ფეხბურთელი ათამაშეს.

### გათამაშების ცხრილი

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" | 28 | 20 | 5 | 3 | 69-30 | 45 |
| „სულორი" | 28 | 19 | 5 | 4 | 46-18 | 43 |
| „დინ." ზ. | 28 | 16 | 10 | 2 | 67-30 | 42 |
| „მადრ." | 28 | 14 | 6 | 8 | 44-35 | 34 |
| „ამირანი" | 28 | 14 | 5 | 9 | 47-30 | 33 |
| „დურუჯი" | 27 | 10 | 10 | 7 | 32-32 | 30 |
| „მადნ." | 28 | 10 | 9 | 9 | 49-47 | 29 |
| „დინამო" გ. | 28 | 12 | 4 | 12 | 35-39 | 28 |
| „სამეგრ." | 28 | 13 | 1 | 14 | 48-53 | 27 |
| „სპარტ." | 28 | 10 | 6 | 12 | 44-44 | 26 |
| „მეტალ." | 27 | 10 | 4 | 13 | 45-43 | 24 |
| „მალარ." | 28 | 10 | 4 | 14 | 43-50 | 24 |
| „საპოვნ." | 28 | 9 | 6 | 13 | 38-41 | 24 |
| „ბახტრ." | 27 | 9 | 6 | 12 | 33-42 | 24 |
| „არმაზი" | 28 | 8 | 8 | 12 | 37-44 | 24 |
| „მეშახტე" | 28 | 8 | 8 | 12 | 25-38 | 24 |
| „ივერია" | 28 | 8 | 7 | 13 | 29-42 | 23 |
| „სალხინო" | 28 | 9 | 4 | 15 | 37-49 | 22 |
| „ეგრისი" | 28 | 8 | 6 | 14 | 33-55 | 22 |
| „სქური" | 28 | 8 | 5 | 15 | 38-49 | 21 |
| „ქართლი" | 28 | 8 | 5 | 15 | 29-46 | 21 |
| ფიზ. ინ. თბ. | 25 | 6 | 8 | 11 | 37-47 | 20 |

## მინდორზე — ვეტერანები

**ფეხბურთის** კვირეულის დღეებში წყალტუბოში გაიმართება ამიერკავკასიის ქალაქების — თბილისის, ერევნის, ბაქოსა და ქუთაისის ვეტერან ფეხბურთელთა საინტერესო ტურნირი, მაყურებელი საფეხბურთო მინდორზე იხილავს ტყავის ბურთის გამოჩენილ ოსტატებს. ერევნის „არარატის" შემადგენლობაში გამოვლენ: ა. კოვალენკო, ო. ზანაზანიანი, ნ. კაზარიანი, ს. პოლოსიანი, ა. აბრამიანი, ს. ბონდარენკო, რ. ოვანესიანი. ბაქოს „ნეფთჩის" ღირსებას დაიცავენ ა. მამედოვი, ვ. გაჯიევი, ი. ბაბაევი, რ. ბაგიროვი, ვ. შახოვი, ი. ჯავადოვი. თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ვიხილავთ ს. მეტრეველს, რ. ურუშაძეს, დ. გოგიას, ბ. სიჭინავას, თ. კოსტავას, ბ მჭედლიშვილს, თ. სახვაძეს, დ. ხუნდაძეს, ძმებს მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებს, გივი და ლევან ნოდიებს. ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში იასპარეზებენ ჯ. ხერხაძე, გ. ნიშნიანიძე, ბ. ფარულავა, ა. კვასხვაძე, თ. გრძელიშვილი, დ. დარჯანია, ი. ლოსაბერიძე, გ. სორდია, რ. ბურკაძე და ტყავის ბურთის სხვა ოსტატები.

ოთხთა ტურნირი წყალტუბოში 24 სექტემბერს დაიწყება.

## თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში

**თბილისის** „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში გრძელდება ქალაქის ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნებს შორის. გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს: „საბურთალო"-1 — „მუხიანი" 1:1, „საბურთალო"-2 — „მთაწმინდა" 1:0, „პლეხანოვი" — „ორხევი" 4:4, „ოქროსუბანი" — „სანზონა" 15:3, ვაჟა ფშაველას გამზირი — „ვეტერანი" 8:4, „ვერა"-1 — „ორთაჭალა" 5:5, „ნაძალადევი" — „ვერა" 7:2, „დიდუბე" — „ვარკეთილი" 11:1, „ვაკე" — „გლდანი" 4:2, „დილომი" — „კუს ტბა" 4:1, „საბურთალო"-3 — დიმიტროვის დასახლება 2:1.

მესამე ტურის შეხვედრები ქვეჯგუფებში 24 და 25 სექტემბერს გაიმართება.



# XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## ოლიმპიადის დღიური

**ფეხბურთი.** ოლიმპიადის ორგანიზატორები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ფეხბურთი სეულში, სრულიად მოულოდნელად, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობად იქცა და მოჰყავთ ასეთი ციფრები: ოლიმპიური ტურნირის პირველ რვა მატჩს 170 ათას მაყურებელზე მეტი დაესწრო. ამ ინტერესს სპეციალისტები მოულოდნელი შედეგებით ხსნიან. მაგრამ არავინ იცის ბოლომდე გაყვებათ თუ არა სამხრეთკორეელ გულშემატკივრებს ფეხბურთისადმი ასეთი დიდი ინტერესი. ყოველ შემთხვევაში აქ გამოცხადდა, რომ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ფეხბურთელთა ტურნირს სულ 1,4 მილიონი მაყურებელი დაესწრო, მოსკოვის თამაშებისას კი უფრო მეტი — 1,8 მილიონი.

20 სექტემბერს გამართული შეხვედრების შედეგები: სამხრეთ კორეა — აშშ 0:0, სსრ კავშირი — არგენტინა 2:1 (2:0), იუგოსლავია — ნიგერია 3:1 (1:0), ბრაზილია — ავსტრალია 3:0 (1:0).

საბჭოთა ფეხბურთელებმა არგენტინელებთან გამარჯვებით საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი ერთობ განიმტკიცეს. პირველ ტაიმში დობროვოლსკიმ და მიხაილიჩენკომ თითო გოლი გაიტანეს. მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ჩვენს კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. ელფარომ ზუსტი დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. საბჭოთა ნაკრებში ამ დღეს თამაშობდნენ: ხარინი, ლოსევი, კეტაშვილი, გორლუკოვიჩი, ჩერედნიკი, ნარბეკოვასი, კუზნეცოვი, დობროვოლსკი (სავიჩევი), მიხაილიჩენკო, ტატარჩუკი (იაროვენკო), ლიუტი.

**კალათბურთი.** **ვაჟები.** იუგოსლაველებთან მარცხის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს უკან დასახევი გზა აღარ დარჩა. ახლა მან ყველა შეხვედრა უნდა მოიგოს, რათა ჯგუფში მეორე ადგილი მაინც დაიკავოს და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვოს. მორიგი შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელებმა ჩვეული ოსტატობით ჩაატარეს და ავსტრალიის საკმაოდ ძლიერი კოლექტივი 22 ქულით დაამარცხეს — 91:69 (53:35). იუგოსლაველებმა ასევე დამაჯერებლად მოუგეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას — 102:61 (51:21).

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: პუერტო-რიკო — სამხრეთ კორეა 79:74 (38:30), ბრაზილია — ჩინეთი 130:108 (72:61), აშშ — კანადა 76:70 (40:42), ესპანეთი — ეგვიპტე 113:70 (57:44).

**ქალები.** სსრ კავშირი — ბულგარეთი 91:62 (50:26), აშშ — ჩეხოსლოვაკია 87:81 (37:39), სამხრეთ კორეა — ავსტრალია 91:55 (41:20), იუგოსლავია — ჩინეთი 56:53 (35:32).

**ფრენბურთი.** **ქალები.** იაპონია — სსრ კავშირი 3:2, სამხრეთ კორეა — გდრ 3:1, ჩინეთი — აშშ 3:0, პერუ — ბრაზილია 3:0.

**ვაჟები.** სსრ კავშირი — შვეცია 3:0, აშშ — ჰოლანდია 3:1, საფრანგეთი — ტუნისი 3:0, ბულგარეთი — იტალია 3:0, სამხრეთ კორეა — ბრაზილია 3:2, არგენტინა — იაპონია 3:1.

**ხელბურთი.** **ვაჟები.** სსრ კავშირი — იუგოსლავია 24:18, შვეცია — ალჟირი 21:18, ისლანდია — აშშ 22:15, სამხრეთ კორეა — უნგრეთი 22:20, გდრ — იაპონია 25:18, ჩეხოსლოვაკია — ესპანეთი 20:17.

**ბალახის ჰოკეი.** **ვაჟები.** სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 3:1, ავსტრალია — არგენტინა 4:0, ჰოლანდია — ესპანეთი 1:1, პაკისტანი — კენია 8:0, ინგლისი — კანადა 3:0, გფრ — ინდოეთი 1:1.

**ველოსპორტი.** 21 წლის უკრაინელი ველოსიპედისტის ალექსანდრე კირიჩენკოს ნაკრებ გუნდში ჩარიცხვა ბევრმა სპეციალისტმა ნაჩქარევ ექსპერიმენტად მიიჩნია, თუმცა სპორტსმენმა ეს უფლება ბრძოლით მოიპოვა — საკავშირო ჩემპიონატში, რომელშიც ოლიმპიადის წინ ბოლო შესარჩევ შეჯიბრებად ითვლებოდა, მან დამაჯერებლად მოიგო გიტი 1 კილომეტრზე (ადგილიდან).

სეულის ოლიმპიურ ველოტრეკზე კირიჩენკომ სტარტი მეთექვსმეტე ნომრით დატოვა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უძლიერესები ასპარეზობაში მოგვიანებით ჩაებმებოდნენ. კირიჩენკომ სწრაფ ტემპში დაიწყო რბოლა, მაგრამ ბოლო წრეზე ბორბალი დაუზიანდა. ყველას ეგონა, რომ სპორტსმენი შეწყვეტდა რბოლას და ახალ სტარტს მოითხოვდა, მაგრამ მან სხვა გაგრძელება აირჩია, არ ჩამოვიდა დისტანციიდან და ფინიშის ხაზი „დაშვებული" ბორბლით გადაკვეთა. როგორც შემდეგ გაირკვა კირიჩენკოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიუღია. მისი შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო და 21 წლის სპორტსმენმა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

**წყალში ხტომა.** **ვაჟები.** **ტრამპლინი.** წინა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს გრეგ ლუგანისს (აშშ) საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში უსიამოვნება შეემთხვა. მეშვიდე ცდაზე ვერ გამოზომა ნახტომი და ტრამპლინს თავი ჩამოარტყა. შეფასება, ცხადია, დაბალი მიიღო (ორმა არბიტრმა საერთოდ 0 ქულა დაუწერა), მაგრამ ლუგანისი იმდენად იყო დაწინაურებული, რომ წინასწარი ხტომების შემდეგ მაინც მესამე ადგილზე დამკვიდრდა, ფინალში კი ჩვეული ოსტატობით იბრძოლა და ბოლოს უნიკალური შედეგი — 730,80 ქულა აჩვენა (საშუალოდ 9-9,5 ქულა ყოველი ნახტომისთვის). ლუგანისი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ტრამპლინიდან ხტომაში.

საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში სუსტად გამოვიდნენ. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს ალექსანდრე პორტნოვს მეათე შედეგი ჰქონდა (563,37 ქულა), ვალერი გონჩაროვს კი მეთორმეტე (554,16).

**ჩოგბურთი.** წარუმატებლად დაიწყო ტურნირი საბჭოთა გუნდის ლიდერმა ანდრეი ჩესნოკოვმა: ასტარტო შეხვედრაში ჰოლანდიელ სხაპერსთან დამარცხდა — 3:6, 7:5, 0:6, 2:6.

სამაგიეროდ პირველი ბრძოლა მოიგო ანდრეი ჩერკასოვმა. მან სამ პარტიაში პარაგვაელ ჰუგო ჩაპაკუს აჯობა — 6:0, 6:0, 6:1. გამარჯვებები მოიპოვეს სტარტზე, აგრეთვე, შვედმა ს. ედბერგმა (ავსტრიელ ხ. სკოფთან — 7:6, 6:2, 6:3), ჩეხმა მ. მეჩირჟმა (დასავლეთგერმანელ ი. ელენთან — 5:7, 6:1, 6:2, 7:6).

### ოლიმპიადის ტაბლო

**19 სექტემბერი**

**ძალოსნობა.** **56 კგ.** 1. მიტკო გრაბლევი (ბულგარეთი) — 297,5 კგ; 2. ოქსენ მირზოიანი (სსრკ) — 292,5 კგ; 3. ხე ინციანი (ჩინეთი) — 287,5 კგ.

**20 სექტემბერი.**

**წყალში ხტომა.** **ტრამპლინი.** **ვაჟები.** 1. გრეგ ლუგანისი (აშშ) — 730,80 ქულა; 2. ტან ლიანდე (ჩინეთი) — 704,88; 3. ლი დელიანი (ჩინეთი) — 655,28.

**ტყვიის სროლა.** **პნევმატური შაშხანა (60+10).** **ვაჟები.** 1. გორან მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია) — 695,6 ქულა; 2. ნიკოლა ბერტელო (საფრანგეთი) — 694,2; 3. იოჰან რიდერერი (გფრ) — 694,0.

**სასტენდო სროლა.** **სასანგრე სტენდი.** 1. დიმიტრი მონაკოვი (სსრკ) — 222 ქულა; 2. მილოსლავ ბედნარიკი (ჩეხოსლოვაკია) — 222; 3. ფრანს პეტერსი (ბელგია) — 219.

**სპორტული ტანვარჯიში.** **ვაჟები.** **გუნდური პირველობა.** 1. სსრ კავშირი — 593,350 ქულა; 2. გდრ — 588,450; 3. იაპონია — 585,600.

**ძალოსნობა.** **60 კგ.** 1. ნაიმ სულეიმანოღლუ (თურქეთი) — 342,5 კგ; 2. სტეფან ტოპუროვი (ბულგარეთი) — 312,5 კგ; 3. ე. ხუანმინი (ჩინეთი) — 287,5.

**ველოსპორტი.** **ტრეკი.** **ვაჟები.** **გიტი 1000 მ.** 1. ალექსანდრე კირიჩენკო (სსრკ) — 1.04,499; 2. მარტინ ვინიკომბი (ავსტრალია) — 1.04,784; 3. რობერტ ლეჰნერი (გფრ) — 1.05,114.

**21 სექტემბერი.**

**ტყვიის სროლა.** **პნევმატური პისტოლეტი (40+10), ქალები.** 1. იასნა სეკარიჩი (იუგოსლავია) — 489,5 ქულა; 2. ნინო სალუქვაძე (სსრკ) — 487,9; 3. მარინა დობრანჩევა (სსრკ) — 485,2. **მცირეკალიბრიანი შაშხანა, („3×20", სტანდარტი+10). ქალები.** 1. სილვია შპერბერი (გფრ) — 685,6 ქულა; 2. ვესელა ლეჩევა (ბულგარეთი) — 683,2; 3. ვალენტინა ჩერკასოვა (სსრკ) — 681,4; ...6. ანა მალუხინა (სსრკ) — 678,5.

**ცურვა.** **200 მ, თავისუფალი სტილი. ქალები.** 1. ჰეიკე ფრიდრიხი (გდრ) — 1.57,65; 2. სილვია პოლი (კოსტა-რიკა) — 1,58,67; 3. მანუელა სტელმახი (გდრ) — 1.59,01; ...5. ნატალია ტრეფილოვა (სსრკ) — 1.59,24. **200 მ, ბრასი. ქალები.** 1. ზილკე ჰერნერი (გდრ) — 2.26,71; 2. ხუან სიაო მინი (ჩინეთი) — 2.27,49; 3. ანტოანეტა ფრენკევა (ბულგარეთი) — 2.28,34; ...5. იულია ბოგაჩოვა (სსრკ) — 2.28,54. **100 მ, ბატერფლაი, ვაჟები.** 1. ენტონი ნესტი (სურინამი) — 53,00; 2. მეტ ბიონდი (აშშ) — 53,01; 3. ენდი ჯემისონი (დიდი ბრიტანეთი) — 53,30. **400 მ, კომპლექსური ცურვა. ვაჟები.** 1. ტამაშ დარნიი (უნგრეთი) — 4.14,75; 2. დევიდ უორტონი (აშშ) — 4.17,36; 3. სტეფანო ბატისტელი (იტალია) — 4.18,01. **ესტაფეტა 4×200 მ, თავისუფალი სტილი. ვაჟები.** 1. აშშ — 7.12,51; 2. გდრ — 7.13,68; 3. გფრ — 7.14,35.

#### დღეს, 22 სექტემბერს...

**ოლიმპიადაზე:**

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, ველოსიპედისტები (ტრეკი), წყალბურთელები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ნიჩბოსნები (აკადემიური), ცხენოსნები, აფროსნები, მოცურავეები, მსროლელები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, მოფარიკავეები, ფეხბურთელები, ჰოკეისტები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

**ფარიკაობა. ქალები.** რაპირა. პირადი პირველობა.

**ტყვიის სროლა. ვაჟები.** მცირეკალიბრიანი შაშხანა, „3 X 40" სტანდარტი +10 გასროლა.

**ცურვა. ქალები.** 400 მ, თავისუფალი სტილი. 100 მ, გულაღმა. ესტაფეტა 4 X 100 მ, თავისუფალი სტილი. **ვაჟები.** 100 მ, თავისუფალი სტილი. 200 მ, გულაღმა.

**ველოსპორტი. ტრეკი. ვაჟები.** ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით, 4 კმ.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** პირადი და გუნდური პირველობა.

**კლასიკური ჭიდაობა.** 57 კგ, 68 კგ, 82 კგ, 130 კგ.

**სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები.** მრავალჭიდი. პირადი პირველობა.

**ცხენოსნობა.** სამჭიდი. პირადი და გუნდური პირველობა.

**ძალოსნობა.** 75 კგ.

**ცისფერ ეკრანზე:**

**11.00-14.00.** სპორტული ტანვარჯიში. თანამედროვე ხუთჭიდი (1).

**17.00-20.00.** ცხენოსნობა (სამჭიდი). კრივი (2).

**20.00-22.00.** კლასიკური ჭიდაობა. ველოსპორტი. ოლიმპიადის დღიური (1).

**24.20-01.20.** ფარიკაობა. ფეხბურთი: სსრ კავშირი — აშშ (2).

#### ხვალ, 23 სექტემბერს...

**ოლიმპიადაზე:**

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, ველოსიპედისტები (ტრეკი), წყალბურთელები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ნიჩბოსნები (აკადემიური), აფროსნები, მოცურავეები, მსროლელები, ჩოგბურთელები, მოფარიკავეები, ჰოკეისტები.

ასპარეზობაში ჩაებმებიან მძლეოსნები და მაგიდის ჩოგბურთელები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

**ფარიკაობა. ვაჟები.** ხმალი. პირადი პირველობა.

**ტყვიის სროლა. ვაჟები.** პისტოლეტით ჩქაროსნული სროლა, 30+30+10 გასროლა. „გაქცეულ ტახზე" სროლა, 30+30+10 გასროლა.

**მძლეოსნობა. ქალები.** მარათონი. **ვაჟები.** სპორტული სიარული, 20 კმ. ბირთვი.

**ცურვა. ქალები.** 100 მ, ბატერფლაი. 100 მ, ბრასი. **ვაჟები.** 400 მ. თავისუფალი სტილი. 200 მ, ბრასი. ესტაფეტა 4X100 მ, თავისუფალი სტილი.

**სპორტული ტანვარჯიში. ქალები.** მრავალჭიდი. პირადი პირველობა.

**ცისფერ ეკრანზე:**

**10.00-14.30.** მძლეოსნობა. სპორტული ტანვარჯიში (1).

**17.30-20.30.** კრივი. მძლეოსნობა (2).

**20.05-22.00.** ველოსპორტი. კრივი, ოლიმპიადის დღიური (1).

**22.50-02.50.** ცურვა. ველოსპორტი. კრივი. ფარიკაობა. ოლიმპიადის დღიური (1).



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(ა. წერეთლის გამზ. № 2)

**25 სექტემბერი ◎ ფეხბურთი ◎ სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)**

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 22 სექტემბრის 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 22 და 23 სექტემბერს.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა შედგება 24 სექტემბერს. დასაწყისი 18 საათზე. უამინდობის შემთხვევაში თამაში გაიმართება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.

### ხუცელთა უპირატესობით

**ნოქაში** [illegible] პირველობა [illegible] მრავალჭიდში. 492 ქულით პირველი ადგილი და [illegible] მოიპოვეს [illegible] მძლეებმა. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ფოთელ და აბაშელ მრავალჭიდელებს. თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში გაიმარჯვეს: პ. კაჭარავამ (აბაშა), ვ. პანჩუკმა, ი. ბუგაიჩუკმა, ო. დიდენკომ, თ. ბუკიამ (ყველა — ფოთი), ზ. ბიბილეიშვილმა, ზ. სანიკიძემ, ტ. ტურავამ (ხობი), მ. ლაშხიამ (ზუგდიდის რ-ნი.).

### ინფორმაცია

**მოსკოვში** გრძელდება ოლგოსტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე. მორიგ ტურში საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები დამარცხდა რუმინეთის გუნდთან — 18:28. ამ თამაშის შემდეგ საბჭოთა და რუმინელმა რეგბისტებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 4-4 დააგროვეს. აშშ-ის გუნდს, რომელმაც ერთით ნაკლები შეხვედრა ჩაატარა, 3 ქულა აქვს.

**ჰოლანდიის** ქალაქ ტილბურგში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 9 ტურის შემდეგ 6,5 ქულით შეჯიბრებას სათავეში უდგას მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. მას ქულით ჩამორჩება ინგლისელი ნაიჯელ შორტი.

### შეხვედრა იოგთან

საკმაოდ ფართო გამოხმაურება აქვს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებს რუბრიკით — „იოგა — ჯანმრთელობის სამსახურში". მკითხველები გვწერენ, გვეკითხებიან მათთვის საინტერესო საკითხებზე, ყველას, ცხადია, წერილების ავტორის, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის ალექსი იაკობაშვილის პირადი აზრი აინტერესებს. ამიტომ, მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ვურჩევთ დაესწრონ შეხვედრას, რომელიც 23 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში მოეწყობა ალექსი იაკობაშვილთან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება იოგას მრავალი საინტერესო ილეთი, საღამოს წამყვანი უპასუხებს მაყურებელთა შეკითხვებს, გამოვნებით მოფიქრებული მხატვრული პროგრამა უფრო ცხადად წარმოაჩენს იოგას სიბრძნესა და მნიშვნელობას.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

24 სექტემბერს 11 საათზე თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე სტარტს აიღებს რესპუბლიკური პირველობა ტრიატლონში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულებების სპორტული კლუბების ფიზკულტურელები. პროგრამაშია ველოსპორტი, მძლეოსნური კროსი, ცურვა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომელსაც ექნება ექიმის ნებართვა.

**პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.**

საქართველოს სპორტსახკომი, „ლელოს" რედაქცია, ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ქუთაისელი ფეხბურთელი

**გიორგი (ჯაბულო) ბერულავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხაზდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მარცვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854